

ექსტრადიციის სამართლებრივი ჩარჩოები და მისი პრაქტიკაში
განხორციელების პრობლემები



ირაკლი ზერეკიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია მოგელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ირაკლი ზერეკიძე

18 ივნისი 2024

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიო მუდმივად განიცდის გლობალიზაციასა და ტექნოლოგიურ პროგრესს აღნიშნული პროცესები კი საფუძველს და საჭიროებას ქმნის, რომ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთთანამშრომლობა ყველა მიმართულებით კიდევ უფრო გაღრმავდეს და დაიხვეწოს, გამონაკლისს არც სისხლის სამართლის სფეროში ურთიერთთანამშრომლობა წარმოადგენს, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ექსტრადიციის ინსტიტუტი. აღნიშნული, ინდივიდთა აქტიური მობილობის და ტრანსნაციონალური დანაშაულების მკვეთრი, მზარდი ტენდენციის ფონზე კიდევ უფრო მეტ ყურადღებას და განვითარებას საჭიროებს.

საექსტრადიციო პროცედურების ჩამოყალიბებას და განვითარებას დიდი ისტორია აქვს, თუმცა კვლავ მრავალი გამოწვევა არსებობს, რომელთა გამოც პრაქტიკული და თეორიული კუთხით ბევრ სირთულეს ვაწყდებით, შესაბამისად დადგა საჭიროება, რომ მოხდეს პრობლემათა იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება. ამ კუთხით ნაშრომში კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გაანალიზდა ორი უმნიშვნელოვანესი ცენტრალური საექსტრადიციო მოდელები, რომელიც მსოფლიოში არსებობს, ევროპის კავშირში მოქმედი მოდელი და ევროპის საბჭოს ფარგლებში არსებული მოდელები. აღნიშნული ჩარჩო მოდელების ანალიზი, შედარება, დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების გამოკვეთა მნიშვნელოვანია საქართველოსთან ბმავში, ვინაიდან საქართველო არის ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო და ახლა უკვე ქვეყანას რეალური შესაძლებლობა აქვს გახდეს ევროკავშირის წევრი, რადგან მიიღო კანდიდატის სტატუსი, შესაბამისად ქვეყანა მზად უნდა იყოს განახორციელოს ქვაზი-ევროპული მოდელის ადაპტაცია, რომელსაც ბევრი დადებითი მახასიათებელი აქვს და მის დეტალურ განხილვას ნაშრომი გვთავაზობს.

ამასთან, კვლევის ყურადღების საგანს წარმოადგენს, პრაქტიკული მაგალითების განხილვის ფონზე ისეთი პრობლემების გამოკვეთა, როგორცაა საექსტრადიციო პროცედურების გაჭიანურების მექანიზმი, საქართველოში არსებული მოდელის ანალიზი, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული და სახალხო

დამცველის ჩართულობით განხილული საქმეების, აგრეთვე პრაქტიკოსი იურიდიული სფეროს წარმომადგენელთან ინტერვიუს დახმარებით. რომელთა მეშვეობით შესაძლებლობა მოგვეცა ქართულ მოდელში არსებული პრობლემები დაგვიდენტიფიცირებინა და გაგვეანალიზებინა ევროპულ და ქვაზი-ევროპულ მოდელებთან კორელაციაში და გამოგვეკვეთა გადაჭრის გზები.

ამდენად, ნაშრომში განხილული თემატიკა წარმოადგენს საკმაოდ აქტუალურ და სამომავლოდ ჩამოსაყალიბებელ საკითხებს, წამოჭრილი პრობლემები კი მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს აღნიშნულ პროცესში.

საძიებო სიტყვები: ექსტრადიცია, პირის გადაცემა, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, დაკავების ევროპული ორდერი.

Abstract

The modern world is constantly experiencing globalization and technological progress. These processes create the basis for the need to deepen and improve inter-governmental cooperation in all directions. Mutual cooperation in the field of criminal law is not an exception, of which the institution of extradition is a constituent part, in the background of the active mobility of the mentioned individuals and the sharp growing trend of transnational crimes, it needs even more attention and development.

The formation and development of extradition procedures has a long history, although there are still many challenges, due to which we face many challenges from a practical and theoretical point of view, there is a need to identify problems and search for ways to solve them. The extradition model that exists in the world. The model in the European Union and the model in the Council of Europe. The analysis, comparison, and highlighting of the positive and negative features of the aforementioned framework models are important in the relationship with Georgia, because Georgia is a member of the Council of Europe and now the country has a real opportunity to become a member of the European Union, as it has received the candidate status. Accordingly, the country should be ready to implement the quasi-European model. Adaptation, which has every positive characteristic, and we offer a detailed discussion of it in the paper.

In addition, the focus of the research is to outline such problems, such as the mechanism of extradition procedure delays, analysis of the existing model in Georgia, based on the analysis of practical examples. With the help of the cases provided by the Prosecutor General's Office of Georgia and discussed with the involvement of the public defender, as well as with the help of an interview with a representative of the legal field, through which we were given the opportunity to identify and analyze the problems in the Georgian model in correlation with the European and quasi-European models and to outline the ways to solve them. Thus, the topics presented in the paper are quite relevant and issues to be established in the future. Also, the help of an interview with a representative of the legal profession, through which we were given the opportunity to

analyze the problem in the Georgian model in European and quasi-European comparisons and to outline ways to solve it.

Thus, the topics discussed in the paper are quite relevant and issues to be formulated in the future. The raised issues will give us the opportunity to make important conclusions in the mentioned process.

Key search terms: Extradition, European Arrest Warrant, transfer of a person, European Union, Council of Europe.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნათია მოგელაძეს, ნაშრომზე მუშაობის პერიოდში დათმობილი დროისა და რესურსისათვის, არაერთი შენიშვნისა და რეკომენდაციისათვის, რომელიც ყოველთვის მაძლევდა მოტივაციას და მეხმარებოდა სწორი ხედვების ჩამოყალიბებაში.